საკანონმდებლო სიახლეების

ცნობარი

(2021 წლის მაისი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2021 წლის მაისის თვეში.

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“

2021 წლის 27 აპრილს, საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“. აღნიშნული ცვილებების საფუძველზე, კანონს დაემატა შემდეგი შინაარსის 33[2] მუხლი, რომელიც განსაზღვრავს კერძო სკოლის უფლება-მოვალეობებს მოსწავლის მიმართ:

1.“ კერძო სკოლა ვალდებულია ფინანსური დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში მოსწავლეს დაასრულებინოს მიმდინარე სასწავლო სემესტრი.

2. კერძო სკოლა უფლებამოსილია ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლეს შეუწყვიტოს მოსწავლის სტატუსი მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ, მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე გონივრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის შეუფერხებელი მობილობის უზრუნველსაყოფად.

3. კერძო სკოლა ვალდებულია ფინანსური დავალიანების წარმოშობისთანავე წერილობით გააფრთხილოს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი და განუსაზღვროს მას გონივრული ვადა შესაბამისი ვალდებულების შესასრულებლად, აგრეთვე განუმარტოს ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგები.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

4. კერძო სკოლა ვალდებულია მოსწავლისთვის მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა წერილობით აცნობოს სამინისტროს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს ამ გადაწყვეტილების თაობაზე.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით მოსწავლისთვის მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში კერძო სკოლა ვალდებულია მოსწავლის პირადი საქმე და სხვა სკოლაში მის ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაცია გადასცეს მოსწავლის მიმღებ სკოლას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

6. კერძო სკოლა ვალდებულია მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სურვილით მოსწავლის სხვა სკოლაში მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე და სხვა სკოლაში მის ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაცია გადასცეს მოსწავლის მიმღებ სკოლას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ სათანადო განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, აგრეთვე მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს 5 სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური (არსებობის შემთხვევაში).

7. კერძო სკოლის მიერ ამ მუხლის მე-3–მე-6 პუნქტების შეუსრულებლობა მისთვის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველია.

8. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით მოსწავლისთვის მოსწავლის სტატუსის შეწყვეტისას მის მიერ სწავლის სხვა კერძო სკოლაში გაუგრძელებლობის შემთხვევაში სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე უზრუნველყოფს მოსწავლისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განათლების საჯარო სკოლაში მიღების ხელმისაწვდომობას.“

ზემოაღნიშნული კანონის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 430050000.05.001.020319

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2021 წლის 4 მაისს.

საქართველოს კანონი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“

2021 წლის 28 აპრილს, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონში განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე განსხვავებული რედაქციით ჩამოყალიბდა კანონის რამდენიმე მუხლი,

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

რომელთაგანაც უნდა აღინიშნოს ცვლილებები, რომელიც ეხება კანონის მიზანს და მისი რეგულირების სფეროს, ტერმინთა განამარტების მარეგულირებელ მუხლებს და სხვა. გარდა აღნიშნულისა, სააგენტოს უფლებების ნაწილში განხორციელდა დამატებანი, რომლის თანახმადაც, სააგენტოს უფლება აქვს განახორციელოს რეპო ოპერაცია კომერციულ ბანკთან, და ის, რომ საჭიროების შემთხვევაში სააგენტო საბჭოსთან შეთანხმებით იღებს ზღვრის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებას, რომელიც სააგენტოს უფროსის სამართლებრივი აქტით ფორმდება. შეიძლება ითქვას, რომ კანონის მუხლებმა განიცადა ფუნდამენტური ცვლილებები და დამატებები, რომელზეც დაინტერესებული პირბისგან აუცილებლად უნდა იქნეს ყურადღება გამახვილებული.

ზემოაღნიშნულ კანონის დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 220050000.05.001.020318

აღნიშნული კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №13/ნ

2021 წლის 29 აპრილს, საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №13/ნ-ში. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, ბრძანებით განსაზღვრულმა რამდენიმე მუხლმა ჰპოვა სახეცვლილება. მათ შორის ცვლილებები შეეხო, სექტორების, ცვლებისა და სასწავლო შენობების მარეგულირებელ მუხლებს, ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფის, მულტიდისციპლინალური გუნდის დასკვნის, პირველ კლასში ჩარიცხულ/ჩასარიცხ მოსწავლეთა პროცედურების, მოსწავლის სტატუსის აღდგენის მარეგულირებელი მუხლებს.

გარდა ზემოაღნიშნული მუხლებისა, ბრძანებით განსზღვრული სხვა მუხლებიც ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა, რომელთა დეტალურად განხილვა და შესწავლა აუცილებელია სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული ბრძანების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 430050000.22.022.018013

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 5 მაისს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №113

2021 წლის 19 მაისს „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე "საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით დამტკიცებულ წესში განხორციელდა ცვლილება, კონკრეტულად 37^{20} მუხლის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 37^{21} მუხლი:

„მუხლი 37^{21}. „გადასახადის გადამხდელის საინფორმაციო ბარათში" ასახული მონაცემების სისწორის შესწავლის პროცესი:

1. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 491 მუხლის შესაბამისად, ზოგადი ანალიტიკური პროცედურების ფარგლებში, განახორციელოს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 111 მუხლით განსაზღვრულ „გადასახადის გადამხდელის საინფორმაციო ბარათში" ასახული მონაცემების სისწორის შესწავლა და შესაბამისი ინფორმაციის ანალიზი.

2. „გადასახადის გადამხდელის საინფორმაციო ბარათში" ასახული მონაცემების სისწორის შესწავლა შესაძლებელია განხორციელდეს გადასახადის გადამხდელთან კომუნიკაციით, რა დროსაც გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს მას ახსნა-განმარტება ან/და შესაბამისი დოკუმენტაცია.

3. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი შესაბამისი მონაცემების შესწავლის პროცესში მიღებულ ინფორმაციას ასახავს შესაბამის პროგრამულ მოდულში.".

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული ბრძანების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017468

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 21 მაისს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №114

2021 წლის 19 მაისს, საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს მინისტრის ბრძანება №114-ში. კერძოდ, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია სასაქონლო ზედნადებში მითითებული გამყიდველის/გამგზავნის ან/და მყიდველის/მიმღების ან/და ტრანსპორტირების განმახორციელებელი პირის, მათ შორის, მძღოლის დასახელების/სახელის და გვარის, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომრის, სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომრის და ტრანსპორტირების თარიღის შესახებ ინფორმაცია გასცეს მხოლოდ აღნიშნულ სასაქონლო ზედნადებში დაფიქსირებული:

ა) სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის/მოიჯარის მომართვის შემთხვევაში;

ბ) ტრანსპორტირების განმახორციელებელი პირის, მათ შორის, მძღოლის მომართვის შემთხვევაში.“.

ზემოაღნიშნული ბრძანების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017469

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 21 მაისს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს მთავრობის დადგენილება №217

2021 წლის 14 მაისს, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა „კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ოქტომბრის №655 დადგენილებაში. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, დადგენილების მე-7 მუხლს შემდგომ დაემატა შემდეგი შინაარსის 7^1 მუხლი:

„მუხლი 7^1 1. იურიდიულმა პირებმა, კანონმდებლობის (მათ შორის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სამართლებრივი აქტების) მოთხოვნათა შესაბამისად, საკუთარი პასუხისმგებლობით, უზრუნველყონ ამ დადგენილების საფუძველზე მათ მიერ წარმოდგენილი კომუნალური გადასახადების სუბსიდირებას დაქვემდებარებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლების სიების კორექტირება 2021 წლის 15 აპრილის ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სამინისტროში წარდგენა და შესაბამის ხელშეკრულებაში ცვლილების გაფორმება არაუგვიანეს 2021 წლის 31 მაისისა.

2. სამინისტრო არ არის უფლებამოსილი, მოახდინოს ამ მუხლის თანახმად მიწოდებული მონაცემების (საყოფაცხოვრებო მომხმარებლების სიისა და ასანაზღაურებელი თანხის) სისწორის შემოწმება. პასუხისმგებლობა წარმოდგენილ ინფორმაციაზე ეკისრებათ იურიდიულ პირებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.“

ზემოაღნიშნული დადგენილების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 280000000.10.003.022772

აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2021 წლის 18 მაისს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №222

2021 წლის 18 მაისს, საქართველოს მთავრობის დადგენილება N222-ის საფუძველზე დადმტკიცდა საინვესტიციო გეგმის წარდგენისა და საინვესტიციო გეგმასთან

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების წესი. აღნიშნული წესის მიზანია, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისათვის საინვესტიციო გეგმის წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების დადგენა. აღნიშნული წესი არეგულირებს საინვესტიციო გეგმის განხილვისა და შესრულების ზედამხედველობის ეტაპებს, საინვესტიციო გეგმის თაობაზე განაცხადის წარდგენას, განაცხადის საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, განცხადების განხილვის პროცედურებს, საინვესტიციო გეგმაზე განცხადების გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს, შეთანხმების გაფორმების პრიობებს, საინვესტიციო გეგმის შესრულებისთვის ვალდებულებების განსაზღვრას და შესაბამის პასუხისმგებლობს და ა.შ.

ზემოაღნიშნული დადგენილების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 370020000.10.003.022777

აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2021 წლის 19 მაისს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №241

2021 წლის 31 მაისს, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე ბრძნების რამდენიმე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, კერძოდ:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლა დასაშვებია ამ წესის მე-11 მუხლის 4^1 პუნქტითა და „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებით განსაზღვრულ შემთხვევებში.“.

2. მე-6 მუხლის 4^1 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4^1. კვების ობიექტების/რესტორნების/ბარების/კაფეების ფუნქციონირება როგორც გარე, ისე შიდა სივრცეში სტუმრის მიღების მიზნით დასაშვებია 05:00 საათიდან 23:00 საათამდე, გარდა მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სოციალური ღონისძიებებისა, მიტანის მომსახურებითა (ე. წ. „დელივერი“ სერვისი) და პროდუქტის გატანით (ე. წ. „თეიქ ეივი“ და „დრაივი“). სტუმრის მიღებისას დაცულ უნდა იქნეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციები.“.

3. მე-6 მუხლის 4^2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4^2. სავაჭრო ცენტრებში განთავსებული კვების ობიექტების/რესტორნების/ბარების/კაფეების ფუნქციონირება შაბათ-კვირას ასევე დასაშვებია როგორც გარე, ისე შიდა სივრცეში სტუმრის მიღებით, ასევე პროდუქტის გატანისა (ე. წ. „თეიქ ეივი“ და „დრაივი“) და მიტანის მომსახურებით (ე. წ. „დელივერი“ სერვისი).“.

4. მე-11 მუხლის 41 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ა) საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო მიმოსვლის შემთხვევაში, უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ნებისმიერი პირი (მოქალაქეობის მიუხედავად), ნებისმიერი ტიპის კოვიდვაქცინის სრული კურსის (ორი დოზა, ხოლო johnson&Johnson ვაქცინაციის შემთხვევაში – ერთი დოზა) დამადასტურებელი დოკუმენტის საზღვარზე წარდგენის შემთხვევაში, არ ექვემდებარება ამ დადგენილებით განსაზღვრულ შეზღუდვებს, გარდა ამავე პუნქტის „ა1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;“.

5. მე-11 მუხლის 4^1 პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის „ა2“ ქვეპუნქტი:

„ა2) საერთაშორისო სამგზავრო სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლის შემთხვევაში, „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებით დამტკიცებული გეგმის დანართ №2-ის 11 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული პირები, ნებისმიერი ტიპის კოვიდვაქცინის სრული კურსის (ორი დოზა,

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ხოლო johnson&Johnson ვაქცინაციის შემთხვევაში – ერთი დოზა) დამადასტურებელი დოკუმენტისა და საქართველოში ვიზიტამდე ბოლო 72 საათში ჩატარებული PCR ტესტის ნეგატიური პასუხის საზღვარზე წარდგენის შემთხვევაში, არ ექვემდებარებიან ამ წესით განსაზღვრულ შეზღუდვებს, გარდა ამავე პუნქტის „ა1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;“.

6. მე-11 მუხლის 4[1] პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„გ) უცხო ქვეყნიდან ჩამოსულმა პირებმა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ამ პუნქტის „ა“, „ა2“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და ამ წესის 115 მუხლით გათვალისწინებულ პირებს, სასაზღვრო პუნქტებზე უნდა წარადგინონ უკანასკნელი 72 საათის განმავლობაში ჩატარებული PCR კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო საზღვრის კვეთიდან მე-3 დღეს უზრუნველყონ საკუთარი ხარჯით PCR კვლევის ჩატარება;“.

ზემოაღნიშნული დადგენილების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 470230000.10.003.022797

აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2021 წლის 1 ივნისს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge